სსიპ კოლეჯის „აისი“ პროფესიული სტუდენტის/მსმენელის საჭიროებებისა და კმაყოფილების კვლევის ანგარიში

ს.კაჭრეთი, 2022 წელი

სარჩევი

მოკლე მიმოხილვა ---------- 3

1. ძირითადი მიგნებები ----------3

2.1 კვლევის მიზანი და ამოცანები ----------4

2.2 კვლევის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტი ----------5

2.3 სამიზნე ჯგუფი ----------6

3. კვლევის შედეგები ----------7

3.1 კოლეჯის ინფრასტრუქტურის შეფასება ----------7

3.2 ადმინისტრაციის შეფასება ----------8

3.3 კოლეჯის მასწავლებლების შეფასება ----------10

3.4 პროფესიული პროგრამებისა და სასწავლო პროცესის შეფასება ----------11

3.5 სასწავლო პრაქტიკის შეფასება ----------12

3.6 ვებ-გვერდისა და ინტერნეტის შეფასება ----------14

3.7 სტუდენტების/მსმენელების საჭიროებები ----------15

დასკვნა ----------16

რეკომენდაციები ----------16

მოკლე მიმოხილვა

სსიპ კოლეჯის „აისი“ პროფესიული სტუდენტის/მსმენელის საჭიროებებისა და კმაყოფილების კვლევა ჩატარდა ხარისხის მართვის მენეჯერისა და ხარისხის მართვის სპეციალისტის მიერ 2022 წლის ივლისი-აგვისტოს თვეში. მასში მონაწილეობა მიიღო სსიპ კოლეჯის „აისი“ ოთხივე ფილიალის (გურჯაანი, ს. კაჭრეთი; დედოფლისწყარო, ს. სამრეკლო; ლაგოდეხი, ს. შრომა; ახმეტა, ს. ქვემო ალვანი) სტუდენტებმა და მსმენელებმა. კვლევის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტების/მსმენელების საჭიროებებისა და კმაყოფილების დადგენა.

კვლევა ჩატრდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდის, კერძო სტრუქტურიზებული თვითადმინისტრირებადი ინტერვიუს ტექნიკის გამოყენებით. კვლევა განხორციელდასსიპ კოლეჯის „აისი“ მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით. კვლევა გახლავთ ანონიმური და შევსების პლატფორმად გამოყენებულია Google forms-ი. კვლევის ფარგლებში სტრუქტურიზებული თვითადმინისტრირებადი ინტერვიუ შეავსო 372-მა სტუდენტმა/მსმენელმა. ისიც უნდა აღინიშნოს რომ სხვადასხვა კითხვაზე პასუხის გაცემის დროს თავი შეიკავა 1-მა პროცენტმა და 1 დან 7 ქულამდე შეაფასა 1-3 პროცენტამდე.

1. ძირითადი მიგნებები

კოლეჯის ინფრასტრუქტურის შეფასება

- სსიპ კოლეჯის „აისი’ სტუდენტები/მსმენელები კმაყოფილები არიან სასწავლებელში არსებული ინფრასტრუქტურით. კოლეჯის აუდიტორიების, გათბობა-კონდიცირების სისტემით, ლაბორატორიებისა და შენობის კეთილმოწყობით კმაყოფილება გამოთქვა გამოკითხულთა უმრავლესობამ.

ადმინისტრაციის შეფასება

- ადმინისტრაციის საქმიანობის შეფასებაში სტუდენტებმა/მსმენელებმა მაღალი პროცენტით დადებითად მიიჩნიეს ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან კომუნიკაცია, პრობლემებზე სწრაფი რეაგირება და ადმინისტრაციის მხრიდან სასწავლო პროცესის ვადების ინფორმირება და დაცვა.

კოლეჯის მასწავლებლების შეფასება

- სსიპ კოლეჯ „აისი“-ის სტუდენტები/მსმენელები ერთ-ერთ ძლიერ მხარედ მიიჩნევენ პედაგოგიური პერსონალის პროფესიონალიზმსა და მასწავლებელსა და სტუდენტებს/მსმენელებს შორის ურთიერთობას.

პროფესიული პროგრამებისა და სასწავლო პროცესის შეფასება

- პროფესიული პროგრამებისა და სასწავლო პროცესის შეფასებისას სტუდენტები/მსმენელები აღნიშნავენ რომ თეორიული და ლაბორატორიული ლექციებისთვის ყველა საჭირო ინვენტარი აქვთ და მათი პროფესიისთვის შესაბამისი პროგრამებიც ზუსტად არის შედგენილი.

სასწავლო პრაქტიკის შეფასება

- სტუდენტთა/მსმენელთა უმრავლესობა გამოთქვამს კმაყოფილებას კოლეჯში არსებული პრაქტიკული მეცადინეობებით.

ვებ-გვერდისა და ინტერნეტის შეფასება

- სსიპ კოლეჯის „აისი“ ვებ-გვერდისა და ინტერნეტ მომსახურების შეფასებისას სტუდენტები/მსმენელები ხარისხის გაუმჯობესების სურვილს გამოთქვამენ.

სტუდენტთა საჭიროებები

- კვლევის შედეგად გამოიკვეთა კარიერის დაგეგმვისა და სამოტივაციო წერილის შედგენის ტრენინგების, ასევე ახალგაზრდებში პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებების დაგეგმვის საჭიროება.
- სტუდენტების/მსმენელების მხრიდან გაჟღედა, სურვილების სახით, სტიპენდიის არსებობა, წარმატებული გამოცდილების გაზიარება, უფრო მეტი მასტერკლასები.

2.1 კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს სსიპ კოლეჯ „აისი“-ის პროფესიული სტუდენტის/მსმენელის საჭიროებებისა და კმაყოფილების შესწავლა. აქედან გამომდინარე შემუშავდა კვლევის შემდეგი ამოცანები:

- სსიპ კოლეჯის „აისი“ ინფრასტრუქტურით კმაყოფილების შესწავლა;
- სსიპ კოლეჯის „აისი“ ადმინისტრაციით კმაყოფილების შესწავლა;
- სსიპ კოლეჯის „აისი“ მასწავლებლებით კმაყოფილების შესწავლა;
- სსიპ კოლეჯის „აისი“ პროფესიული პროგრამებით კმაყოფილების შესწავლა;
- სსიპ კოლეჯის „აისი“ სასწავლო პროცესით კმაყოფილების შესწავლა;
- სსიპ კოლეჯის „აისი“ სასწავლო პრაქტიკით კმაყოფილების შესწავლა;
- სსიპ კოლეჯის „აისი“ ვებ-გვერდისა და ინტერნეტ მომსახურებით კმაყოფილების შესწავლა;
- სსიპ კოლეჯის „აისი“ სტუდენტთა საჭიროებების დადგენა;
- სსიპ კოლეჯის „აისი“ სტუდენტთა სურვილების შესწავლა;

2.2 კვლევის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტი

კვლევაში გამოყენებულია რაოდენობრივი სტრუქტურირებული თვითადმინისტრირებადი კვლევის მეთოდი. ამ მეთოდის შერჩევა განაპირობა საკვლევი საკითხების სიმრავლემ და სტატისტიკურად სანდო ინფორმაციის შეგროვების საჭიროებამ. რაოდენობრივი კვლევის მეთოდი გვაძლევს საკვლევი აუდიტორიიდან მიღებული ინფორმაციის განზოგადებისა და დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას. ასევე აღნიშნული მეთოდი არის სანდო წყარო თავისი ანონიმურობიდან გამომდინარე და ასახავს რეალურ მონაცემებს.

კვლევის სამიზნე ჯგუფად განისაზღვრა სსიპ კოლეჯის „აისი“ ოთხივე ლოკაციის სტუდენტები/მსმენელები. კვლევა ჩატარდა ანონიმურად, Google forms-ის პლატფორმაზე სტრუქტურირებული თვითადმინისტრირებადი ინტერვიუს ტექნიკის გამოყენებით.

სტუდენტებს ელექტრონული მეილებისა და ე.წ. მესენჯერ ჩატების საშუალებით დაეგზავნათ კითხვარის შესავსები ლინკი და განესაზღვრათ გარკვეული დრო მათ შესავსებად. კითხვარის თავში განსაზღვრული იყო კვლევის მიზანი და ამოცანები, ასევე შევსების ინსტრუქცია და ცხრილის ქულობრივი შეფასების განმარტება. კვლევის ფარგლებში კითხვარი გაეგზავნა 471 სტუდენტს/მსმენელს, მიღებულია 372 პასუხი.

ცხრილი N1

კვლევის მეთოდოლოგია	
მეთოდი	რაოდენობრივი კვლევა
ტექნიკა	სტრუქტურირებული თვითადმინისტრირებადი ინტერვიუ
პლატფორმა	Google forms
სამიზნე ჯგუფი	სსიპ კოლეჯის ‘აისი“ სტუდენტები/მსმენელები
რესპოდენტთა რაოდენობა	471 რესპოდენტი
კვლევის არეალი	სსიპ კოლეჯის ‘აისი“ ყველა ფილიალი
ინტერვიუს ხანგრძლივობა	20 წუთი

კითხვარი შედგებოდა რამდენიმე თემატური მოდულისაგან:

- დემოგრაფიული მახასიათებლები: სასწავლო დაწესებულების დასახელება და ადგილმდებარეობა, სასწავლო პროგრამის დასახელება და დონე;
- პროფესიული პროგრამებისა და სასწავლო პროცესის შეფასება;
- სასწავლო მასალები - კოლეჯის სასწავლო მასალებით უზრუნველყოფის შეფასება;
- მასწავლებლების შეფასება;
- ადმინისტრაციის საქმიანობის შეფასება;
- სასწავლო პრაქტიკის შეფასება;
- კოლეჯის ინფრასტრუქტურის შეფასება;

- ვებ-გვერდისა და ინტერნეტის შეფასება;
- სტუდენტთა/მსმენელთა საჭიროებების დადგენა;
- სტუდენტთა სურვილები;

2.3 სამიზნე ჯგუფი

სამიზნე ჯგუფად, კვლევის სპეციფიკიდან და მიზნებიდან გამომდინარე, განისაზღვრა სსიპ კოლეჯის „აისი“ ოთხივე ფილიალის მოქმედი სტუდენტები/მსმენელები. კვლევის პერიოდისთვის წარმოდგენილი იყო 21 სპეციალობის ჯგუფები და ერთი პროფესიული მომზადების პროგრამის მსმენელების ჯგუფი, რომლებიც გადანაწილებულია სსიპ კოლეჯის „აისი“ ყველა ლოკაციაზე. ჯამურად გამოიკითხა 471 სტუდენტი.

ბაზაში წარმოდგენილია შემდეგი პროფესიის სტუდენტები :

1. მევენახეობა - მეღვინეობა;
2. ვეტერინარია;
3. ელექტროობა;
4. სატყეო საქმე;
5. ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება;
6. მეფუტკრეობა;
7. ინფორმაციის ტექნოლოგია;
8. კომპიუტერული ქსელი და სისტემები;
9. იატაკისა და ფილის სამუშაოები;
10. მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება;
11. ხის მხატვრული დამუშავება;
12. თმისა და სილამაზის მომსახურება;
13. შედუღება;
14. ქვის სამუშაოების წარმოება;
15. თექის დამზადება;
16. საოფისე საქმე;
17. მებაღეობა;
18. თაბაშირ - მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი;
19. მხატვრული ქსოვილები;
20. მომინანქრება;
21. კერამიკული ნაკეთობის დამზადება;
22. პროფესიული მომზადების პროგრამა - ქართული და უცხოური კერძების მომზადება.

3. კვლევის შედეგები

3.1 კოლეჯის ინფრასტრუქტურის შეფასება

კვლევის ფარგლებში სტუდენტებმა/მსმენელებმა შეაფასეს კოლეჯის ინფრასტრუქტურა სხვადასხვა კითხვარის საშუალებით. შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას რომ სტუდენტები/მსმენელები კმაყოფილები არიან კოლეჯის ინფრასტრუქტურით.

გამოკითხულთა შედეგების მიხედვით ერთ-ერთი ყველაზე მაღალი შეფასება დაიმსახურა შემდეგმა გარემოებებმა: კედლები, კარ-ფანჯრები არის კარგ მდგომარეობაში (99%) იატაკი არის კარგ მდგომარეობაში (99%), სანიტარული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია (97%).

პროცენტულად კმაყოფილების შედარებით დაბალი მაშვენებელი აქვს კოლეჯში წყალგაყვანილობასა (93%) და სველი წერტილების მოწესრიგებას (96%).

კითხვების საერთო პროცენტული განაწილება იხილეთ გრაფიკ N1-ზე და ფილიალების მიხედვით პროცენტული განაწილება კი გრაფიკ N2-ზე.

გრაფიკი N1 კოლეჯის ინფრასტრუქტურით საერთო კმაყოფილება.

შენიშვნა: გრაფიკებზე წარმოდგენილია 8-9-10 ქულის შესაბამისი მონაცემები.



გრაფიკი N2 კოლეჯის ინფრასტრუქტურით კმაყოფილება ფილიალების მიხედვით.



3.2 ადმინისტრაციის შეფასება

კვლევის ფარგლებში კითხვები დაისვა სსიპ კოლეჯის „აისი“ ადმინისტრაციის საქმიანობის შესაფასებლად. კვლევის მონაცემების თანახმად ადმინისტრაციის საქმიანობის შეფასებისას ყველაზე მაღალი ქულით სტუდენტები/მსმენელები აფასებენ ადმინისტრაციული საქმისწარმოების გამართულ მუშაობას (98%), ადმინისტრაციის მხრიდან მხარდაჭერას (98%).
შედარებით დაბალი პროცენტი აქვს ადმინისტრაციულ პერსონალთან კომუნიკაციას (96%).

სტუდენტთა/მსმენელთა პასუხებიდან ჩანს რომ სტუდენტური აქტივობების (კონკურსები, ღონისძიებები, სპორტული შეჯიბრები...) სიმცირეს განიცდიან (89%). სტუდენტები/მსმენელები სურვილს გამოთქვამენ კოლეჯში უფრო აქტიურად იგეგმებოდეს და ტარდებოდეს სპორტული აქტივობები, კულტურული ღონისძიებები, კონკურსები, ფოტოგამოფენები და კინოჩვენებები.

კითხვების საერთო პროცენტული განაწილება იხილეთ გრაფიკ N3-ზე და ფილიალების მიხედვით პროცენტული განაწილება კი გრაფიკ N4-ზე.

გრაფიკი N3 ადმინისტრაციის საერთო შეფასება.

შენიშვნა: გრაფიკზე წარმოდგენილია 8-9-10 ქულის შესაბამისი მონაცემები.



გრაფიკი N4 ადმინისტრაციის შეფასება ფილიალების მიხედვით.



3.3 კოლეჯის მასწავლებლების შეფასება

კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ სტუდენტები/მსმენელები სსიპ კოლეჯის „აისი“ მასწავლებლებს უმაღლეს შეფასებას აძლევენ შემდეგ კრიტერიუმებში: პედაგოგიური პერსონალის პროფესიონალიზმის შეფასება (97%), პედაგოგი ყოველთვის კარგად არის მომზადებული ლექციისათვის (97%), სტუდენტებს/მსმენელებსა და მასწავლებლებს შორის ურთიერთობები (99%).

შედარებით დაბალი შეფასება დაიმსახურა კრიტერიუმმა: ლექციების მიმდინარეობისას აქტიურად ხდება სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენება (94%).

კითხვების საერთო პროცენტული განაწილება იხილეთ გრაფიკ N5-ზე და ფილიალების მიხედვით პროცენტული განაწილება კი გრაფიკ N6-ზე.

გრაფიკი N5 სსიპ კოლეჯის „აისი“ მასწავლებელთა საერთო შეფასება.

შენიშვნა: გრაფიკზე წარმოდგენილია 8-9-10 ქულის შესაბამისი მონაცემები.



გრაფიკი N6 სსიპ კოლეჯის „აისი“ მასწავლებელთა შეფასება ფილიალების მიხედვით.



3.4 პროფესიული პროგრამებისა და სასწავლო პროცესის შეფასება

ერთ-ერთი საკვლევი საკითხი ეხებოდა სსიპ კოლეჯში „აისი“ პროფესიული პროგრამებისა და სასწავლო პროცესის შეფასებას. სტუდენტთა/მსმენელთა პასუხებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ისინი კმაყოფილნი არიან კოლეჯის პროფესიული პროგრამებისა და სასწავლო პროცესის მიმდინარებისა.

კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ გამოკითხულ სტუდენტთა/მსმენელთა უმრავლესობა დადებითად აფასებს საგამოცდო პროცესის მიმდინარეობას (96%). კმაყოფილების მაღალი მაჩვენებელი აქვს ზოგადად სასწავლო პროცესის მიმდინარეობას. ასევე გამოკითხულთა 97-98 %-ს მოსწონს კოლეჯში არსებული რეგისტრაციისა და ცხრილების შედგენის პროცესები.

სტუდენტების/მსმენელების პასუხების ანალიზიდან ჩანს, რომ ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს საგანმანათლებლო პროგრამების ზოგად შეფასებას (91%).

კითხვების საერთო პროცენტული განაწილება იხილეთ გრაფიკ N7-ზე და ფილიალების მიხედვით პროცენტული განაწილება კი გრაფიკ N8-ზე.

გრაფიკი N7 პროფესიული პროგრამების და სწავლის პროცესის საერთო შეფასება.

შენიშვნა: გრაფიკზე წარმოდგენილია 8-9-10 ქულის შესაბამისი მონაცემები.



გრაფიკი N8 პროფესიული პროგრამების და სწავლის პროცესის შეფასება ფილიალების მიხედვით.



3.5 სასწავლო პრაქტიკის შეფასება

კითხვარის ჩამონათვალში ერთ-ერთი პუნქტი გახლავთ სასწავლო პრაქტიკის შესახებ.

კვლევის ფარგლებში გამოკითხულ სტუდენტთა/მსმენელთა უმრავლესობა გამოთქვამს კმაყოფილებას კოლეჯში არსებულ სასწავლო პრაქტიკაზე. ასევე უმაღლესი შეფასება აქვს საკითხს სასწავლო პრაქტიკის ლაბორატორიები აღჭურვილია საჭირო ტექნიკით/იარაღებით (98%), კოლეჯის მიერ მუდმივ რეჟიმში ხორციელდება სასწავლო პრაქტიკისთვის საჭირო აღჭურვილობისა და დანადგარების განახლება/რემონტი (95%), სასწავლო პრაქტიკა უზრუნველყოფილია საჭირო მასალებით (97%).

გამოკითხული სტუდენტების/მსმენელების პასუხებიდან შედარებით დაბალი პროცენტი აქვს სასწავლო პრაქტიკის სამუშაოების შეფასება (95%).

კითხვების საერთო პროცენტული განაწილება იხილეთ გრაფიკ N9-ზე და ფილიალების მიხედვით პროცენტული განაწილება კი გრაფიკ N10-ზე.

გრაფიკი N9 სასწავლო პრაქტიკის საერთო შეფასება.

შენიშვნა: გრაფიკზე წარმოდგენილია 8-9-10 ქულის შესაბამისი მონაცემები.



გრაფიკი N10 სასწავლო პრაქტიკის შეფასება ფილიალების მიხედვით.



3.6 ვებ-გვერდისა და ინტერნეტის შეფასება

საკვლევ საკითხს წარმოადგენს ვებ-გვერდის სათანადო მუშაობა და ინტერნეტით კმაყოფილების შესწავლა. აღნიშნული საკითხის შესახებ დასმული კითხვების პასუხებიდან გამოიკვეთა რომ კოლეჯის ვებ-გვერდზე მუდმივად ხდება ინფორმაციის განახლება (95%), კოლეჯის ვებ-გვერდი ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას (92%).

გამოკითხული სტუდენტების/მსმენელების შედარებით დაბალი პროცენტია კმაყოფილი ინტერნეტის ხელმისაწვდომობითა და მისი სიჩქარის ხარისხით. ინტერნეტი ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის (87%), ინტერნეტის სიჩქარე დამაკმაყოფილებელია (77%).

კითხვების საერთო პროცენტული განაწილება იხილეთ გრაფიკ N11-ზე და ფილიალების მიხედვით პროცენტული განაწილება კი გრაფიკ N12-ზე.

გრაფიკი N11 ვებ-გვერდისა და ინტერნეტის საერთო შეფასება.

შენიშვნა: გრაფიკზე წარმოდგენილია 8-9-10 ქულის შესაბამისი მონაცემები.



გრაფიკი N12 ვებ-გვერდისა და ინტერნეტის შეფასება ფილიალების მიხედვით.



3.7 სტუდენტების/მსმენელების საჭიროებები

კვლევის ერთი თავი შეეხებოდა სტუდენტების/მსმენელების საჭიროებებს. მიღებული უკუკავშირიდან ჩანს რომ ახალგაზრდებში პროფესიული განათლების პოპულარიზაციის კუთხით შეიძლება დაიგეგმოს უფრო მეტი აქტივობები (სტუდენტების/მსმენელების ნამუშევრების გამოფენა; დასაქმებული კურსდამთავრებულების გამოცდილების გაზიარება).

კვლევის შედეგად გვსურდა გაგვერკვია სტუდენტებს/მსმენელებს სმენიათ თუ არა კარიერის დაგეგმის შესახებ (კი 85%, არა 15%). აქიდან გამომდინარე შემდეგი კითხვა ეძღვნებოდა ზემო აღნიშნულის შეთავაზებას. კითხვაზე სურდათ თუ არა გაევლოთ კარიერის დაგეგმვის ტრენინგები სამუშაოს ძიების, CV-ის და სამოტივაციო წერილის შედგენისა და დამსაქმებელთან გასაუბრების ტექნიკის შესახებ, სტუდენტების/მსმენელების 67%-მა დადებითი პასუხი დააფიქსირა. მოცემულ კითხვაზე პასუხების პროცენტული განაწილება იხილეთ დიაგრამაზე N1.

დიაგრამა N1



დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ რომ, კვლევის მიზანი და ამოცანები მიღწეულია. შედეგებიდან მკაფიოდ ჩანს სტუდენტების/მსმენელების კმაყოფილება კოლეჯის „აისი“ ინფრასტრუქტურით, ადმინისტრაციის საქმიანობით და პერსონალით, მასწავლებელთა პროფესიონალიზმითა და თეორიულ-პრაქტიკული ლექცია-სემინარებით, პროფესიული პროგრამებისა და სასწავლო პროცესით. კმაყოფილებასთან ერთად გამოიკვეთა პრობლემები რომლებიც ხშირად მეორდება სტუდენტების/მსმენელების პასუხებში. ეს პრობლემებია ვებ-გვერდის გამართული მუშაობა და ინტერნეტის დაბალი სიჩქარე და ხელმისაწვდომობა. ასევე სტუდენტური ღონისძიებების სიმცირე, როგორიცაა ინტელექტუალური თამაშები/აქტივობები, კულტურული ღონისძიებები, გასვლითი შემეცნებითი ექსკურსიები, კონფერენციები, გასართობი და სპორტული აქტივობები, კინოჩვენებები, სტუდენტთა/მსმენელთა ნამუშევრების გამოფენები და სხვა. ასევე ინტერესის სფეროს წარმოადგენს სტუდენტური დღეების მოწყობა, მასტერკლასები, ვორქშოფები და პროფესიული კუთხით გამოცდილების გაზიარების მაღალი სიხშირე.

ამ მოცემულობის გამოსასწორებლად, სამომავლოდ, შესაბამისი სამსახურების მიერ გადადგმული ქმედითი ნაბიჯები აამაღლებს სტუდენტების/მსმენელების კმაყოფილებას.

ასევე გასათვალისწინებელია სტუდენტთა სურვილები წახალისების კუთხით კარგი სწავლისთვის, რაც შეიძლება გამოიხატოს მატერიალური (სტიპენდია, პროფესიისთვის დამახასიათებელი ინვენტარით დასაჩუქრება) სახით.

რეკომენდაციები

- გაიზარდოს და გაფართოვდეს ვებ-გვერდისა და ინტერნეტის ხელმისაწვდომობა;
- დაიგეგმოს მრავალფეროვანი სტუდენტური ღონისძიებები მაღალი ინტენსივობით;
- ჩატარდეს უფრო მეტი მასტერკლასები და ვორქშოფები ყველა დარგის სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის;
- შესაძლებლობის ფარგლებში ჩამოყალიბდეს სტუდენტების/მსმენელების წახალისების სქემა/სისტემა;